პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 25 აგვისტო, 1943 წ. № 179 (6804). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

24 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

24 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთით უტევენ, წინ წაიწიეს და პოზიციები გაიუმჯობესეს.

დონბასში, იზიუმის სამხრეთით და პოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონებში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან და კვლავ დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ საბრძოლო დაზვერვას და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლას მოწინააღმდეგესთან.

28 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოხსენ გერმანელთა 77 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 106 თვითმფრინავი.

* * *

დაიკავეს რა ქალაქი ხარკოვი, ჩვენი ჯარები წინსვლას განაგრძობდნენ და პოზიციები გაიუმჯობესეს. ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლით გადალახეს წყლის ზღუდე და კვლავ ურტყამდნენ უკანდახეულ მოწინააღმდეგს. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელების მიერ დაოვებული ბევრი საჭურველი და სამხედრო ტვირთი.

ხარკოვის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის დიდ ძალებთან და წინ წაიწიეს. ერთი დღის ბრძოლებში გერმანელებმა მოკლულთა სახით დაჭკარეს 2 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 25 ტანკი. უკანასკნელ ბრძოლებში სისხლისაგან დაცლილ მოწინააღმდეგს საჩქაროდ გადმოჰყავს ამ უბნებზე თავისი რეზერვები.

ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, იგერიებდნენ მის კონტრიერიშებს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 18 ტანკი და 3 ჯავშნიანი ნაღმსანა. მოწინააღმდეგს წაავართვეს 21 საველე და 5 თვითმავალი ქვემეხი, სამამარ მასალათა საწყობი და სხვა დავლა.

წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები სიმამაცესა და გმირობას გვიჩვენებენ გერმანელ ფაშისტ არამზადათა ჩაგვრისაგან შშობლიური საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. გვარდიის ლეიტენანტ დუხოვის ტანკის ეკიპაჟმა მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში დააზიანა გერმანელთა ორი ტანკი „ვეფხვის“ ტიპისა. გვარდიის ლეიტენანტ გოლოვინის ტანკის ეკიპაჟმა მოსპო მოწინააღმდეგის 4 ტანკი, მათ შორის ორი ძმიმე ტანკი. წითელარმიელებმა ამხ. რიაზანოვმა და ჩაიკამ გერმანელთა განლაგებაში შეაღწიეს და გრანატებით მოსპეს 46 ჰიტლერელი. სატყვიამფრქვევო გუნდის მეთაურმა სერჟანტმა პოპოვმა ერთ ბრძოლაში დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლით ასეულამდე გერმანელი გაჟლიტა. მებრძოლ უსალიევს თავს დაესხა 9 გერმანელი და ცდილობდნენ ტყვედ ჩაეგდოთ იგი. ავტომატის ცეცხლით ამხ. უსალიევმა მასზე თავდამსხმელი ყველა ჰიტლერელი მოსპო.

საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოაგდეს გერმანელთა 22 თვითმფრინავი.

* * *

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოწინააღმდეგე კონტრიერიშებით ცდილობდა შეეკავებინა საბჭოთა ნაწილების წინსვლა. ჩვენმა შებრძოლებმა გერმანელთა ყველა კონტრიერიში მოიგერიეს და მძიმე ზარალი მიაყენეს მათ. მარტო გვარდიის ნ შენაერთმა 800-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპო. ტყვეები აცხადებენ, რომ გერმანელთა 294-ე ქვეითი დივიზიის მეტწილ ასეულებში 3-6 ჯარისკაცი დარჩა თითოეულში. დანარჩენები მოკლულნი, დაჭრილნი, ან ტყვედ წამოყვანილნი არიან.

საბჭოთა მზვერავების ჯგუფი უფროს ლეიტენანტ ტკაჩოვის მეთაურობით მოწინააღმდეგის საბრძოლო წყებებს შუა გაიჭრა და უეცრად მიიტანა იერიში გერმანელთა საარტილერიო ბატარიის პოზიციებზე. მზვერავებმა ქვემეხთა გუნდები მოსპეს და ხელში ჩაიგდეს გერმანელთა ბატარია.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ გერმანელთა შეუპოვარ წინააღმდეგობას და წინ წაიწიეს. განსაკუთრებით გაფაფრებული ბრძოლები სწარმოებდა მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტის მისადგომებზე. საბჭოთა მებრძოლები დასაყრდენ პუნქტში შეიჭრნენ და დღის დამლევისათვის გასწმინდეს იგი გერმანელებისაგან. ამ ბრძოლაში გაელიტენილია მტრის 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია 12 ტანკი, მოსპობილია 16 ქვემეხი და აფეთქებულია საომარ მასალათა 2 საწყობი. წამოიღებულია დაელა, მათ შორის 15 ტანკი, 6 თვითმავალი ქვემეხი, 60 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი და 90 ტყვიამფრქვევი. წამოყვანილია ტყვეები.

საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 33 თვითმფრინავი.

* * *

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენმა ქვეგანაყოფებმა განდევნეს მოწინააღმდეგე 4 დასახლებული პუნქტიდან. გერმანელები განსაკუთრებით შეუპოვრად იცავდნენ ერთ-ერთ ამ პუნქტს, ოცეულის მეთაური ამხ. იონოსიანი მებრძოლთა ჯგუფითურთ ღამე მტრის პოზიციებთან მიეხლება და მის სანგრებში შეიჭრა. ხელჩართულ შეტაკებაში ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 68 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 15 ტყვე.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 4 საარტილერიო და 3 სანაღმტყორცნო ბატარია, დაზგრეულია 20 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 11 ბლინდაჟი.

რიგისა და ფინეთის უურეებში ჩვენმა ხომალდებმა და ფლოტის ავიაციამ ჩასძრეს გერმანელთა 2 ტრანსპორტი 8 ათასი ტონის საერთო წყალწყვეთა, მოწინააღმდეგის სადარაჯო ხომალდი და სადარაჯო კატერი.

* * *

უკრაინელ პარტიზანთა რამდენიმე რაზმმა, რომლებიც როვნოს ოლქში მოქმედებენ, აგვისტოში ლიანდაგიდან გადაგდეს გერმანელთა 21 სამხედრო ეშელონი. დამსხვრეული და დაზიანებულია 21 ორთქლმავალი, 276 ვაგონი და პლატფორმა ტექნიკანადგი, საომარ მასალებიანად და სხვა სამხედრო ტვირთებიანად, რაც ფრონტის ხაზისაკენ მოდიოდა. წითელი არმიის XXV წლისთავის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში მოსპო 2 ტანკი, 25 სატვირთო და 2 მსუბუქი ავტომანქანა. გერმანელებთან ბრძოლებში და საფრენებიდან პარტიზანებმა 260 ჰიტლერელი მოჰკლეს.

* * *

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიის ერთ-ერთ მოედანზე გერმანელებმა გამოფენა მოაწყეს. ვიტრინებზე წარმოდგენილია ბევრი ფოტოსურათი. ფოტოგრაფიებზე ნაჩვენებია მოქმედი ქარხნები და შახტები, ხე-ტყის დაკურება. ცხენის ჯოგები, ბრინჯაოსა და ბამბის ყანები და სხვ. ფოტოგრაფიებს ქვეშ ასეთი წარწერები აქვს: „გერმანელი ინჟინრებისა და სამეურნეო მუშაკების ხელმძღვანელობით ახალი ევროპა აღმოსავლეთ რაიონებიდან იღებს ფოლადს, მადანს, ბამბას, პურსა და ბრინჯს“.

ჰიტლერელმა ყალთაბანდიებმა—ამ გამოფენის ორგანიზატორებმა — წინდახედულად არ მიუთითეს, თუ სად, სახელდობრ როელ რაიონებშია მოქმედი ქარხნები, დამალეს საწარმოთა და ფეოგრათიულ პუნქტთა სახელწოდებანი. საქმე იმაშია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოსურათები, რომლებიც საბჭოთა საწარმოებისა და კოლმეურნეობების ცხოვრებასა და მუშაობას ასახავენ, ჯერ კიდევ ომამდე დაგზავნა საზღვარგარეთ უცხოთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოებამ. ამაში ძნელი არ არის დაეჭრმუნდეთ თუნდაც ერთი ფოტოგრაფიის მიხედვით, რომელიც გამოფენაზეა. ამ ფოტოსურათზე გადაღებულია ქალთა საკოლმეურნეო ბრიგადა ბამბის აღებისას. აღებულ ბამბასთან შეიძლება შეამჩნიოთ წითელი დროშა. რომელზეც შეამჩნიოთ ჩაფიოდ სჩანს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბი. ამრიგად, ჰიტლერელების მიერ სოფიაში მოწყობილი „გამოფენა“ მორიგ ყალთაბანდურ ფინდს წარმოადგენს. ჰიტლერელებს კვლავ წაასწრის დანაშაულნი და ისინი მხილებულნი არიან, როგორც წვრილფეხა მატყუარები.

მოსკოვი სამშობლოს სახელით სალუგს აძლევს მამაც ჯარებს, რომლებმაც ხარკოვი გაათავისუფლეს

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანების თანახმად გუშინ, 23 აგვისტოს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში—მოსკოვში სამშობლოს სახელით სალუტი მისცა მამაც ჯარებს, რომლებმაც ხარკოვი გაათავისუფლეს.

სრულ 21 სალუტზე მიცემულ იქნა ორას ოცდაოთხი ქვემეხის პირველი ზალპი. ცა აციესკროვნდა რაკეტებისა და მოტრასირე ტყვიების კაშკაშა ფეიერვერკით, ქვემეხთა სროლის ცეცხლოვანი გამონაშუქით. ყოველი თხუთმეტი წამის შემდეგ ზედიზედ მიცემულ იქნა საზენიტო ქვემეხების ოცი ზალპი.

ათასობით მოსკოველები ღრმა ყურადღებითა და სიხარულით ადევნებდნენ თვალს სალამაზისა და სიმძლავრის მხრივ ამ უჩვეულო ჯანახობას. ქუჩებში, ბულვარებზე, მოედნებზე, სახლების აივნებიდან და ფანჯრებიდან დიდხანს დაუცხრომლად ჰქუხდა ტაში საბჭოთა იარაღის ახალი გამარჯვების პატივსაცემად, გმირი წითელი არმიის პატივსაცემად, რომელმაც გაათავისუფლა შშობლიური ხარკოვი.

საარტილერიო სალუტს ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი დ. ა. ჟურავლიოვი. (საკდესი).

ხარკოვის განმათავისუფლებელთა პატივსაცემ სალუგს მთელი ჩვენი ქვეყანა ისმენდა

საარტილერიო სალუტი მამაცი ჯარების პატივსაცემად, რომლებმაც ხარკოვი ვაათავისუფლეს, 23 აგვისტოს ტრანსლირებული იყო რადიოთი. ქვემეხების ახლოს დადგმულ იქნა რამდენიმე მიკროფონი; საარტილერიო ზალპებს მოსკოვიდან, რომელიც ხარკოვის განმათავისუფლებლებს სალუტს აძლევდა მთელი ჩვენი სამშობლოს სახელით, ძველი ჩვენი ქვეყანა ისმენდა. ლენინგრადში, გორკში, ბაქოში, თბილისში და სხვა ქალაქებში რადიოს უსმენდნენ მილიონობით ადამიანები. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ და ღრმა მოელვარებით ულოცავდნენ ერთმანეთს ახალ სახელოვან გამარჯვებას, გმირი წითელი არმიისას, რომელმაც ჰიტლერელი არამზადებისაგან გაათავისუფლა შშობლიური ხარკოვი—უკრაინის მეორე დედაქალაქი. (საკდესი).

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძ დებალცევოზე, სადგურებზე ბარვენკოვოსა და ჩისტიაკოვოზე, გერმანელთა ჯარების შეჯგუფებებზე ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე

23 აგვისტოს ღამით ჩვენმა ავიაციამ მოახდინა თავდასხმები რკინიგზის კვანძ დებალცევოზე, სადგურებზე ბარვენკოვოსა და ჩისტიაკოვოზე. დაბომბვის შედეგად აფეთქებულია საომარ მასალათა საწყობები და დამსხვრეულია მოწინააღმდეგის რამდენიმე სამხედრო ეშელონი.

იმავე ღამეს ჩვენი ავიაცია ურტყამდა გერმანელთა ჯარების და მოწინააღმდეგის ტანკებისა და ავტომანქანების შეჯგუფებებს ქალაქ ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით.

ძლიერ დაბომბილ იქნა მოწინააღმდეგის აეროდრომები, რომლებზეც აღნიშნულია გერმანელთა თვითმფრინავების დიდი შეჯგუფება. ბომბების აფეთქებანი სჩანდა თვითმფრინავების დგომის ადგილებში.

ორი ჩვენი თვითმფრინავი საბრძოლო დავალებიდან არ დაბრუნებულა.

ახალი სასწავლო წლის დაწყების შესახებ

დაწესებულია ვადები ახალი სასწავლო წლის დაწყებისა დაწყებითი, კრაორული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის.

შვიდწლიან კლასებში—1-ლიდან მე-4-მდე—მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს, უფროს კლასებში—მე-5-დან მე-10-მდე—1 ოქტომბერს. (საკდესი).

სსრ კავშირის საბჭომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის რაც შეიძლება მალე აღდგენისა და მათი მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

I.

აღმოსავლეთის რაიონებში ევაკუირებული პირუტყვის კოლმეურნეობებისათვის დაბრუნების შესახებ

1. დაევალოთ იაროსლავლის, გორკის, ვოლოგდის, კიროვის, რიაზანის, ტამბოვის, სარატოვის, კუიბიშევის, ჩკალოვის ოლქების საოლქო აღმასკომებს და საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, მორდვეთის, მარეთის, დაღისტნის ასს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს და საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს და ყაზახეთის სსრ-ის, აზერბაიჯანის სსრ-ის და სომხეთის სსრ-ის სახკომსაბჭოებს და კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს დაუბრუნონ კალინინის, სმოლენსკის, ორიოლის, კურსკის, ვორონეჟის, სტალინგრადის, როსტოვის, ტულის ოლქების, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების კოლმეურნეობებს ამ ოლქებისა და მხარეების მიერ ევაკუირებული პირუტყვი შემდეგი რაოდენობით:

	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ცხვარი და თხა	ცხენი
	(სულ ობით)		
კალინინის ოლქი	36.573	31.144	8.454
მათ შორის: გორკის ოლქიდან	10.060	9.000	2.020
იაროსლავლის ოლქიდან	17.000	13.000	3.350
ივანოვოს ოლქიდან	9.062	9.144	3.084
ვოლოგდის ოლქიდან	451	—	—
სმოლენსკის ოლქი	48.349	31.413	6.907
მათ შორის: იაროსლავლის ოლქიდან	9.500	5.000	1.500
გორკის ოლქიდან	18.700	14.000	1.920
ივანოვოს ოლქიდან	832	379	869
რიაზანის ოლქიდან	8.242	4.820	1.333
მორდვეთის ასსრ-დან	6.850	3.947	1.011
მარეთის ასსრ-დან	3.610	2.777	221
პენზის ოლქიდან	74	67	36
ტამბოვის ოლქიდან	222	112	—
კუიბიშევის ოლქიდან	242	311	12
სარატოვის ოლქიდან	77	—	5
კურსკის ოლქი	2.529	5.492	1.182
მათ შორის: ტამბოვის ოლქიდან	1.721	2.467	829
სარატოვის ოლქიდან	80	365	151
სტალინგრადის ოლქიდან	728	2.660	202
ორიოლის ოლქი	21.399	39.668	8.375
მათ შორის: რიაზანის ოლქიდან	663	1.115	1.047
ტამბოვის ოლქიდან	9.859	19.150	3.295
სარატოვის ოლქიდან	3.814	6.032	813
პენზის ოლქიდან	4.000	9.000	2.200
ულიანოვსკის ოლქიდან	2.275	2.636	400
კუიბიშევის ოლქიდან	2.275	2.636	400
მორდვეთის ასსრ-დან	788	1.735	620
ვორონეჟის ოლქი	9.539	20.228	3.774
მათ შორის: ტამბოვის ოლქიდან	957	3.596	648
სარატოვის ოლქიდან	7.272	13.519	2.525
ყაზახეთის სსრ-დან	74	361	20
სტალინგრადის ოლქიდან	1.236	2.752	581
როსტოვის ოლქი	51.506	143.188	17.229
მათ შორის: დაღისტნის ასსრ-დან	1.461	1.763	851
აზერბაიჯანის სსრ-დან	1.057	1.530	390
სარატოვის ოლქიდან	3.189	4.847	968
ყაზახეთის სსრ-დან	39.773	105.366	12.855
ჩკალოვის ოლქიდან	6.026	29.682	2.165
სტალინგრადის ოლქი	14.530	34.379	1.749
მათ შორის: ყაზახეთის სსრ-დან	13.878	33.332	1.575
ჩკალოვის ოლქიდან	652	1.047	174
სტავროპოლის მხარე	12.741	35.909	5.269
მათ შორის: აზერბაიჯანის სსრ-დან	8.200	15.600	3.100
დაღისტნის ასსრ-დან	3.800	19.500	1.400
საქართველოს სსრ-დან	154	—	127
სომხეთის სსრ-დან	217	809	556
ყაზახეთის სსრ-დან	370	—	86

2. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები, აგრეთვე კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურენი, რომლებსაც მიბარებული ჰყავთ კოლმეურნეობათა ევაკუირებული პირუტყვი, ვალდებულნი არიან დაბრუნონ ამ პირუტყვის მთელი არსებული სულადობა, აგრეთვე აანაზღაურონ პირუტყვის ის რაოდენობა, რაც ამ კოლმეურნეობამ ევაკუირებული პირუტყვის მიბარების განმავლობაში დახარჯა საბელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების თავის ვალდებულებათა შესასრულებლად, ან დაჰკლა იგი შინაკოლმეურნეო საჭიროებისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული ოლქების წარმომადგენელთა მონაწილეობით მიბარებული პირუტყვის მყოლ ოლქებში 1943 წლის 15 სექტემბრისათვის შეამოწმოს მიბარებული პირუტყვის არსებული რაოდენობა, მისი ხარჯვა, ევაკუირებული პირუტყვის არსებული რაოდენობა 1943 წლის აგვისტოსათვის და განსაზღვროს, თუ დამატებით რამდენი პირუტყვი უნდა იქნას დაბრუნებული კოლმეურნეობებში, რომლებიდანაც ევაკუირებული იყო პირუტყვი.

3. დაევალოთ საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს, საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, რომლებიც აბრუნებენ და იღებენ პირუტყვს გადასარეკად, დაამთავრონ პირუტყვის ჩაბარება და მიღება მისი მიბარების ადგილებში არა უგვიანეს 1943 წლის 1 სექტემბრისა. იმ ვარაუდით, რომ მთელი დასაბრუნებელი პირუტყვი მისი მუდმივი განლაგების ადგილებში მივიდეს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა კალინინის, სმოლენსკის ტულის, კურსკისა და ორიოლის ოლქებში და არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა სტალინგრადის, როსტოვის, ვორონეჟის ოლქებში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში.

4. დაწესდეს, რომ გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში დაბრუნებული პირუტყვი უნდა გადაეცეს მხოლოდ პირუტყვის მეპატრონე კოლმეურნეობებს. აიკრძალოს ამ პირუტყვის განაწილება სხვა კოლმეურნეობებს შორის. პატრონისათვის პირუტყვის ჩაბარება სწარმოებს საოლქო (სამხარეო) აღმასრულებელი კომიტეტების რწმუნებულთა მიერ აქტის მიხედვით, რომელშიც შეტანილ უნდა იქნას ჯოგის ბაზაში ყოფნის დროს მომხდარი ყველა ცვლილება.

5. დაევალოს საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, იმ რაიონებში სადაც მიბარებულია პირუტყვი, უზრუნველყონ 1943 წლის 1 სექტემბრისათვის მთელი იმ ჯოგის ვეტერინარიული შემოწმებისა და ვეტერინარული დამუშავების დამთავრება, რომელიც უნდა დაუბრუნდეს განთავისუფლებულ რაიონებს.

6. დაეკისროს სსრ კავშირის მიწსახკომს ხელმძღვანელობა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში იმ პირუტყვის დაბრუნების მთელი საქმისა, რომელიც ევაკუირებული იყო აღმოსავლეთ რაიონებში, და პასუხისმგებელი პირუტყვის თავის დროზე დაბრუნებისა და გზაში დაცვისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს ამ დადგენილების მიღებიდან ორი დღის ვადაში მიიღონოს სსრ კავშირის მიწსახკომის რწმუნებულები ყველა იმ ოლქებში, სადაც მიბარებულია ევაკუირებული პირუტყვი.

დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების, სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტების, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების მონაწილეობით, გაწსაზღვროს ტრასები, რომლებითაც უნდა მოხდეს პირუტყვის გადარეკა, და უზრუნველყოს პირუტყვი გზაში საკვებით, სარწყულებლებით, ვეტერინარულ-ზოოტექნიკური მომსახურებითა და მდინარეზე პირუტყვის გადაყვანის ორგანიზაციით.

დაევალოს თავდაცვის სახალხო კომისარიატს გამოუყოს სსრ კავშირის მიწსახკომს ვადით 1 ნოემბრამდე წითელი არმიის რეზერვებიდან და ზურგის ვეტდაწესებულებიდან 50 ვეტექიმი და 100 ვეტფერშალი ძთ გამოსაყენებლად პირუტყვის ვეტერინარული მომსახურების ორგანიზაციისათვის ჯოგის გადარეკის ტრასებზე.

დაევალოს საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს გამოიყონ ჯოგის მიბარების რაიონებში საჭირო რაოდენობით ვეტერინარულ-ზოოტექნიკური პერსონალი გზადმიმავალი პირუტყვის მომსახურებისათვის და სსრ კავშირის მიწსათმოქმედების სახალხო კომისარიატიც რწმუნებულთა წარგზავნით პირუტყვის გადარეკის შესახებ, საკმაო რაოდენობა ცხენებისა თავისი მოკაზმულობით, სამეურნეო და სარძეო ინვენტარი.

7. დაევალოს კალინინის, სმოლენსკის, კურსკის, ორიოლის, როსტოვის, სტალინგრადის, ვორონეჟის ოლქების საოლქო აღმასკომებს და საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებს 1943 წლის 25 აგვისტოსათვის მიაგზავნონ თითოეულ ოლქში საოლქო კომიტეტებისა და საოლქო აღმასკომების პასუხისმგებელი რწმუნებულები პირუტყვის მიღებისა და გადარეკის საქმეში, აგრეთვე საჭირო რაოდენობის მეჯოგეები, პირუტყვის გამრეკი-კოლმეურნეები და მწველავები.

8. დაევალოს საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს იმ რაიონებისას, სადაც მიბარებული იყო პირუტყვი, და იმ ოლქებისას, სადაც გაივლის დაბრუნებული პირუტყვი, მიაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ყველა რაიონში, სადაც გაივლის პირუტყვი, აგრეთვე მისცენ მითითებანი რაიაღმასკომებს და სასოფლო საბჭოებს, რათა მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მეჯოგეებს და პირუტყვის გამრეკ-კოლმეურნეებს პირუტყვის დასაცავად და სათანადო მოვლის უზრუნველსაყოფად გადენის პერიოდში.

9. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეებს—დაურიცხონ პირუტყვის გზაში ყოფნის განმავლობაში პირუტყვის გამრეკ-კოლმეურნეებსა და მწველავებს ყოველდღიურად ორ შრომადღემდე და მეჯოგეებს—სამ შრომადღემდე. გარდა ამისა გზაში პირუტყვის შენარჩუნებისათვის დაერიცხოს მეჯოგეებს და პირუტყვის გამრეკ-კოლმეურნეებს ჯოგის ბაზაში ყოფნის განმავლობაში დარიცხული შრომადღეების საერთო რაოდენობის დამატებით 30 პროცენტი შრომადღეებისა.

10. გამოიყოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან ევაკუირებული პირუტყვის გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად (კოლმეურნეთა მეგზავრობა რკინიგზით, გადასაყვანის გადახდა, მივლინების ანაზღაურება სპეციალისტებისა, რომლებიც ახლავან პირუტყვს)—11.500 ათასი მანეთი, მათ შორის კალინინის საოლქო აღმასკომს—2.000 ათასი მანეთი, სმოლენსკისას—2.000 ათასი მანეთი, ორიოლისას—1.000 ათასი მანეთი, კურსკისას—1.000 ათასი მანეთი, ვორონეჟისას—2.000 ათასი მანეთი, სტალინგრადისას—1.000 ათასი მანეთი, როსტოვისას—1.000 ათასი მანეთი, ტულისას—500 ათასი მანეთი, კრასნოდარის სამხარეო აღმასკომს—500 ათასი მანეთი სტავროპოლის სამხარეო აღმასკომს—500 ათასი მანეთი.

11. დაევალოს სსრ კავშირის დაზზადებათა სახალხო კომისარიატს გამოჰყოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ევაკუაციიდან დაბრუნებული პირუტყვის გზაში საკვებად 2.000 ტონა თივა და 500 ტონა კონცენტრირებული საკვები.

12. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის „ცენტროსოიუზს“ უზრუნველყონ გზაში პურით მომარაგება იმ კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა, რომლებიც ჯოგს ახლავან, რაიაღმასკომების სამივლინო მოწმობათა წარდგენისას.

დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატს გამოჰყოს სსრ კავშირის „ცენტროსოიუზის“ ეკონომიკურ ნაგებობათა ნაშენებების პურით უზრუნველსაყოფად გზაში, რომლებიც პირუტყვს ახლავან, 1.000 ტონა ფქვილი სსრ კავშირის „ცენტროსოიუზის“ განკარგულებაში და 500 ტონა ფქვილი სსრ კავშირის ეაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

13. დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატს სტალინგრადის საოლქო აღმასკომს და სარატოვის საოლქო აღმასკომს მოაწყონ ყაზახეთიდან და სტალინგრადისა და სარატოვის ოლქების მარცხენა მხარიდან დაბრუნებული პირუტყვის გადაყვანა ვოლგაზე.

14. დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს შემოიღონ 1943 წლის 1 სექტემბრიდან ხუთდღიური სატელეგრაფო ანგარიშგება—რამდენი პირუტყვი მიღებული მიბარების ადგილიდან, როგორ მიმდინარეობს ჯოგის გადარეკა და რამდენი პირუტყვი მივიდა მისი მუდმივი განლაგების ადგილზე.

15. დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ვორონეჟის, სარატოვის, სტალინგრადის, როსტოვის, ჩკალოვის, აქტიუბინსკის, დასავლეთ-ყაზახეთის ოლქების საოლქო აღმასკომებთან, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების სამხარეო აღმასკომებთან, ყალმუხეთის, დაღისტნის ასსრ, ყაზახეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ სახკომსაბჭოებთან ერთად 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის გამოავლინონ, აღრიცხონ და აქტებით დაადგინონ უკრაინის სსრ კოლმეურნეობათა კუთვნილი მთელი მიბარებული ევაკუირებული პირუტყვი ამ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში წინათ განაწილებული პირუტყვის რაოდენობიდან, და მიიღონ ზომები საკვებითა და ბინებით მის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მთელი ევაკუირებული პირუტყვის სულადობის, საკვებით შესანარჩუნებლად.

16. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსა და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს იმ რაიონების აღმასკომებთან და საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებთან ერთად, რომლებსაც მიბარებული ჰყავთ უკრაინის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ევაკუირებული პირუტყვი, დაწესონ პირუტყვის გადარეკის ადგილი, აგრეთვე უკრაინის სს რესპუბლიკის განთავისუფლებულ რაიონებში პირუტყვის გადარეკის მარშრუტები, ამასთან პირუტყვის გადარეკა განახორციელონ ამ დადგენილებით დამყარებული წესის შესაბამისად.

17. აღმოსავლეთის რაიონებიდან დაბრუნებული პირუტყვის მიღება და კოლმეურნეობებში განაწილება მოხდეს შემდეგი წესით:

ა) ოლქში შემოსული თითოეული ჯოგი მიღებულ უნდა იქნას საოლქო (სამხარეო) აღმასკომის სპეციალური რწმუნებულის მიერ აქტით, რომელშიც ასახული უნდა იყოს ყველა ცვლილება, რაც მოუვიდა ჯოგს გზაში ყოფნის დროს;

ბ) საოლქო (სამხარეო) აღმასკომის რწმუნებული, რომელიც ჯოგს იღებს, მეჯოგის მონაწილეობით აბარებს ჯოგს

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტში

გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

რეებისაგან პირუტყვის კონტრაქტაციისა და შესყიდვის გეგმები, აგრეთვე დააწესონ ბატკნების კონტრაქტაციისა და შესყიდვის გეგმა ოლქების მიხედვით შემდეგი ანაწილებით:

(ათას სულობით)

	ხბის კონტრაქტაციის დამატებითი გეგმა	ბატკნის კონტრაქტაციის გეგმა
კალინინის ოლქი	20	30
სმოლენსკის ოლქი	3	3
ვორონეჟის ოლქი	15	
სტალინგრადის ოლქი	20	15
როსტოვის ოლქი	15	20
კურსკის ოლქი	—	10
ორიოლის ოლქი	5	10
კრასნოდარის მხარე	15	10
სტავროპოლის მხარე	6	10

2. დაწესდეს, რომ ის კოლმეურნეები, რომლებიც ჩაბარებენ კონტრაქტაციის მიხედვით ერთ ხბოს ან ორ ბატკანს მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმის შესაფსებად, 1943 წელს თავისუფლდებიან ხორცის ჩაბარებისაგან, ხოლო თუ ერთ ბატკანს ჩაბარებენ ჩაბარებათა ოდენობა 50 პროცენტით შეკცირდებათ.

3. ვინაიდან ოკუპირებული რაიონებიდან ზურგის ოლქებში ევაკუირებული ცხვრებია მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩაბარდა წითელი არმიის, ნაწილებს, განთავისუფლებულ იქნან გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონები 1943-44-45 წლებში თავდაცვისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა-თვის ცხენების ჩაბარებისაგან.

4. დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს იმ რაიონების კოლმეურნეობათა მეცხოველეობის აღდგენისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, რომლებიც განთავისუფლდა და თავისუფლდება წითელი არმიის მიერ, მოაწყოს 1943-44 წლებში აღმოსავლეთ და ცენტრალურ ოლქებში სახელმწიფო შესყიდვა ყველა სახის პირუტყვისა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული ოლქებისათვის.

ხსენებული ოლქებისა და რესპუბლიკებისათვის პირუტყვის შესყიდვა სწარმოებდეს ზოგიერ რაიონების კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთაგან ნებაყოფლობითი გაყიდვის პირობებში, სახშესყიდვის ფასებით, ამასთან გაყიდული პირუტყვი კოლმეურნეობებს ჩაეთვალოს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში.

ნება დაერთოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს აწარმოოს კოლმეურნეობათა დაკრედიტება ზურგში ოლქებსა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში პირუტყვისა და ცხენების შესასყიდად სრული ღირებულების ოდენობით.

5. რჩევა მიეცეს გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებს დაიტოვონ მუშა ხარების ჯამრთელ-რდელად 1942-43 წლების ნამატის მოზვერთა მთელი სულადობა.

III.

კოლმეურნეობებში მეფრინველეობის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ

1. დაევალოს საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს უზრუნველყონ 1943-44 წლებში აღდგენა მეფრინველეობის ყველა ფერმებისა, რომლებიც მოიპოვებოდა კოლმეურნეობებში ოკუპაციამდე, და ადეკვატონ მოზრდილი ფრინველის რაოდენობა 1945 წლის 1 თებერვისათვის ოლქებისა და მხარეების მეფრინველეობის საკოლმეურნეო ფერმებში შემდეგ ოდენობამდე:

კრასნოდარის მხარე	1.100 ათასი
სტავროპოლის მხარე	1.100 „
როსტოვის ოლქი	1.000 „
სტალინგრადის ოლქი	550 „
ვორონეჟის ოლქი	800 „
კურსკის ოლქი	250 „
ორიოლის ოლქი	150 „
სმოლენსკის ოლქი	150 „
კალინინის ოლქი	400 „

2. გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათათვის მეფრინველეობის აღდგენაში დახმარების გაწევის მიზნით დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს მიაწოდოს 1943 წლის სეპტემბერ-ოქტომბერში სახელმწიფო მეურნეობათაგან 500.000 ფრთა მოზრდილი ჯიშიანი შინაური ფრინველი სახელმწიფო დანაზადებათა ფასებში კოლმეურნეობებისათვის მისასყიდად ოლქების მიხედვით შემდეგი რაოდენობით:

ორიოლის ოლქში	100 ათასი ფრთა
სმოლენსკის ოლქში	100 ათასი „
კალინინის ოლქში	50 ათასი „
კურსკის ოლქში	100 ათასი „
სტალინგრადის ოლქში	50 ათასი „
უკრაინის სსრ რაიონებში	100 ათასი „

დაევალოს რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიმყიდოს კოლმეურნეობებს 1944 წელს, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებიდან 9,6 მილიონი წიწილა, ოლქებისა და მხარეების მიხედვით შემდეგი განაწილებით:

კრასნოდარის მხარე	2.000 ათასი
სტავროპოლის მხარე	2.000 „
როსტოვის ოლქი	2.000 „
სტალინგრადის ოლქი	1.100 „
ვორონეჟის ოლქი	1.800 „
კურსკის ოლქი	150 „
ორიოლის ოლქი	80 „
სმოლენსკის ოლქი	70 „
კალინინის ოლქი	400 „

3. დაევალოს საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებსა მიაწოდონ რაიონებს ფრინველის სულადობის გადიდებისა და საინკუბატორო სადგურებიდან კოლმეურნეობათათვის, ხოლო საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფერმების დაკომპლექტების შემდეგ აგრეთვე კოლმეურნეთათვის წიწილების მიყიდვის გეგმა და მიიღონ ზომები მცურავი ფრინველის (მატი, იხვი) ფერმების აღდგენისა და მოწყობისათვის, იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც წყალსაცავები აქვთ.

4. დაევალოს საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, აღადგინონ 1943-44 წლებში ვერმანელ-ფაშისტა ოკუპანტთაგან დანგრეული მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები, 55 სადგურის რაოდენობით მხარეებისა და ოლქების მიხედვით შემდეგი განაწილებით:

	1943 წ.	1944 წ.
კრასნოდარის მხარე	5	2
სტავროპოლის მხარე	6	—
როსტოვის ოლქი	2	2
სტალინგრადის ოლქი	6	—
ვორონეჟის ოლქი	6	—
კურსკის ოლქი	—	13
ორიოლის ოლქი	—	7
სმოლენსკის ოლქი	1	2
კალინინის ოლქი	—	3

5. დაევალოს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს უზრუნველჰყოს ადგილობრივი მრეწველობის აწარმოებში მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებისათვის 1943 წლის IV კვარტალსა და 1944 წლის I კვარტალში 200 ინკუბატორის გაკეთება—თითოეული 3-დან 30 ათასამდე კვერცხის ტევადობისა.

6. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოუყოს რსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1943 წლის IV კვარტალში ინკუბატორების გასაკეთებლად ლითონი და სხვა სამშენებლო მასალები, აგრეთვე რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ნახშირი საინკუბატორო სადგურებისათვის შემდეგი რაოდენობით:

თუჯი სხმული (ტონა)	26
რკინა ზარისებრივი (ტონა)	168
რკინა ფურცლოვანი (ტონა)	127
რკინა დეკაპირებული (ტონა)	22
რკინა მოთუთიებული, სახურავი (ტონა)	31
მილები, გაზისა (ტონა)	210
მილები თხელკედლოვანი (გრძ/მეტრ.)	2800
ფიტინგები (ტონა)	21
ბრეზენტი ზოდებრივი (ტონა)	3,1
თითბერი ფურცლოვანი (ტონა)	1,0
თითბერი წნელოვანი (ტონა)	0,3
მავთული რკინისა (ტონა)	0,5
ბადე რკინისა (ათასი კვ. მეტრი)	25,0
სპვალები (ტონა)	5,5
ქანჩები (ტონა)	2,5
მოქლონები (ტონა)	9,0
წიწვიანი ჯიშის ხის დახერხილი მასალა (კუბ. მეტრ.)	1.400,0
ნახშირი (ტონა)	2.200

7. დაევალოს სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატს დამზადოს თავის ქარხნებში 1943 წლის IV კვარტალში და მიაწოდოს რსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ინკუბატორების დასაკომპლექტებლად:

თერმორეგულატორები ამპულისა	27.200 ცალი
თერმორეგულატორები „ფულტონის“ ტიპისა	116 ცალი
თერმომეტრები ჩამოსასაკიდი	27.200 ცალი
თერმომეტრები კუთხისა	2.000 ცალი
ფსიქრომეტრები	6.000 ცალი

8. გამოეყოს რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონთა მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებისათვის 1944 წლის პირველ ნახევარში—16 მილიონი ჯიშიანი ფრინველის კვერცხი, მათ შორის რსფსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიმდინარე დამზადებათა ანგარიშში—7 მილიონი ცალი, აგრეთვე რსფსრ საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებიდან—4 მილიონი კვერცხი.

9. ნება დაერთოს რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მისცეს ოლქმეურნეებს 1944 წელს წიწილები მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებიდან, მოცემული წიწილების ნაცვლად კოლმეურნეობათა მიერ 1945 წელს კვერცხების გადაზდით.

10. დაევალოს საოლქო აღმასკომებსა და სამხარეო აღმასკომებს აღმოუჩინონ დახმარება მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებს საკუთარი საკაპანო ტრანსპორტის შეკვეთაში, 1-2 ცხენით თითო საინკუბატორო სადგურზე.

11. დაევალოს საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და სამხარეო კომიტეტებსა და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოამზადონ 1944 წლის 1 იანვისამდე ოთხთვიან კურსებზე 580 მეფრინველე-ტექნიკოსი ოლქებისა და მხარეების მიხედვით შემდეგი განაწილებით:

კრასნოდარის მხარე	75
სტავროპოლის მხარე	55
როსტოვის ოლქი	60
სტალინგრადის ოლქი	40
ვორონეჟის ოლქი	80
კურსკის ოლქი	65
ორიოლის ოლქი	65
სმოლენსკის ოლქი	50
კალინინის ოლქი	70

დაწესდეს მეფრინველეობის კურსების მსმენელთათვის სტიპენდია თვეში 150 მანეთის რაოდენობით.

12. დაევალოს რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გაგზავნოს 1943-44 წლებში ტექნიკუმებში კურსდამთავრებულთაგან რაიმიწგანებში და მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებში სამუშაოდ მეფრინველეობის 130 სპეციალისტი, ოლქებისა და მხარეების მიხედვით შემდეგი განაწილებით:

	1943 წ.	1944 წ.
კრასნოდარის მხარე	10	10
სტავროპოლის მხარე	10	10
როსტოვის ოლქი	7	10
სტალინგრადის ოლქი	3	7
ვორონეჟის ოლქი	5	10
კურსკის ოლქი	4	10
ორიოლის ოლქი	3	10
სმოლენსკის ოლქი	2	10
კალინინის ოლქი	1	8

IV.

სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების საქმეში კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა შეღავათებისა და 1943 წელს დამზადებათა ჩაბარების წესის შესახებ

1. დაევალოთ რაიაღმასკომებსა და საკ. კ. პ. (ბ) რაიკომებს 1943 წელს საცსებით ან ნაწილობრივ გაათავისუფლონ სახელმწიფოსათვის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებისაგან ყველა კოლმეურნეობა, ერთპიროვნული მეურნეობანი, მუშების, მოსამსახურეებისა და შინამრეწველების მეურნეობანი, რომლებიც გერმანელთა ოკუპაციისაგან დაზარალდნენ.

2. განთავისუფლებულ იქნან სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებისაგან 1943 წელს:

ა) წითელი არმიის მეომრებისა და პარტიზანების მეურნეობანი, თუ მათს ოჯახებში დარჩენენ ბავშვები 7 წლის ასაკამდე და ოჯახში არის ერთი შრომისუნარიანი წევრი, რომელიც მეურნეობაში მუშაობს;

ბ) მეომრებისა და პარტიზანების არაშრომისუნარიანი მშობლების მეურნეობანი, თუ ოჯახში არ არიან შრომისუნარიანი წევრები, რომლებიც მეურნეობაში მუშაობენ;

გ) მეურნეობანი ხანში შესულობის გამო შრომის უნარის მოკლებული მამაკაცებისა, რომელთაც 60 წლის ასაკს მიაღწიეს, და ქალებისა, რომელთაც 55 წლის ასაკს მიაღწიეს, თუ ოჯახში არ არიან სხვა შრომისუნარიანი წევრები, რომლებიც მეურნეობაში მუშაობენ;

დ) მეურნეობანი მასწავლებლების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების, მიწისმომწყობთა, სამედიცინო და ვეტერინარ ექიმთა, ფერშალთა, მელიორატორებისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკოსებისა, მტს-ების, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და საბჭოთა მეურნეობების ინჟინრების, მექანიკოსებისა და დირექტორებისა, თუ მათ პირადს სარგებლობაში ჰყავთ პირუტყვის სულადობა, რაც არ აღემატება მოცემული რაიონის საკოლმეურნეო კომლებისათვის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებულ რაოდენობას.

3. მიეცეთ შეღავათები სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ნორმების 50 პროცენტის რაოდენობით იმ მეომრებისა და პარტიზანების მეურნეობებს, რომელთა ოჯახებშიც არის ერთი შრომისუნარიანი წევრი, რომელიც მეურნეობაში მუშაობს, და ორი და მეტი არაშრომისუნარიანი წევრი.

4. განთავისუფლებულ იქნან სახელმწიფოსათვის 1943 წელს ტყავეული ნედლეულის, მატყლის, კვერცხის, ბრინჯაო-ყველის, ზეთოვანი კულტურების თესლის, ხელისა და კანაფის საგალდებულო ჩაბარებისაგან საკოლმეურნეო კომლები, ერთპიროვნული მეურნეობანი, მუშების, მოსამსახურეებისა და შინამრეწველების მეურნეობანი გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წლის 1 ივლისის შემდეგ განთავისუფლებულ რაიონებში.

5. დაევალოთ საოლქო აღმასკომებსა და საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს 1943 წელს სავსებით ან ნაწილობრივ გაათავისუფლონ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებისაგან ცალკეული კოლმეურნეობანი, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ გერმანელთა ოკუპაციისაგან.

6. განთავისუფლებულ იქნან კოლმეურნეობანი 1943 წელს ტყავეული ნედლეულის, ბრინჯაო-ყველის, კვერცხის, ხელისა და კანაფის სახელმწიფოსათვის საგალდებულო ჩაბარებათაგან.

7. განთავისუფლებულ იქნან კოლმეურნეობანი 1943 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და მატყლის ჩაბარებათაგან იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულ არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წლის 1 ივლისის შემდეგ.

8. შეჩერებულ იქნას 1943 წლისათვის გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წელს განთავისუფლებულ რაიონებში მოქმედება კანონისა სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობების მიერ მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურების თესლის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბოსტნეულის საგალდებულო ჩაბარებათა შესახებ.

9. დაწესდეს, რომ სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობების მიერ 1943 წლის მოსავლის მარცვლეულისა და შზესუმზირის ჩაბარება რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წლის 1 ივლისის შემდეგ, სწარმოებს წითელი არმიის ფონდში, რომელსაც გადასახადის ძალა აქვს და რომელიც მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზირის ასაღები ფართობის ყოველ ჰექტარზე გამოიანგარიშება შემდეგი ნორმებით:

(კილოგრამობით)

	მარცვლეული	მზესუმზირა
ორიოლის ოლქი	70	—
სმოლენსკის ოლქი	50	—
კურსკის ოლქი	70	20
კალინინის ოლქი	40	—
უკრაინის სსრ ოლქები	90	150

კოლმეურნეობანი დანარჩენი რაიონებისა, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან 1942-43 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, მარცვლეულსა და მზესუმზირას აბარებენ წითელი არმიის პურის ფონდში სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 10 იანვრის № 740-754 დადგენილებათა შესაბამისად.

10. დაწესდეს, რომ სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობების მიერ 1943 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარება რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წელს, სწარმოებს წითელი არმიის ფონდში, რომელიც ასაღები ფართობის თითოეულ ჰექტარზე გამოიანგარიშება შემდეგი ნორმებით:

(ცენტნერობით)

	კარტოფილი	ბოსტნეული
ვორონეჟის ოლქი	7	14
კალინინის ოლქი	6	12
კურსკის ოლქი	6	12
ორიოლის ოლქი	7	16
როსტოვის ოლქი	4	14
სმოლენსკის ოლქი	7	10
სტალინგრადის ოლქი	4	10
კრასნოდარის მხარე	7	18
სტავროპოლის მხარე	6	16
უკრაინის სსრ ოლქები	5	18

ბოსტნეული შეიძლება ჩაბარებულ იქნას კარტოფილის ნაცვლად და კარტოფილი ბოსტნეულის ნაცვლად შეცვლის მოქმედი ეკვივალენტის მიხედვით.

11. დაწესდეს, რომ სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობების მიერ 1943 წლის მოსავლის თივის ჩაბარება რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წლის 1 ივლისის შემდეგ, სწარმოებს წითელი არმიის ფონდში ნახნავის. სარწყავი და ურწყავი მდელოების თითოეულ ჰექტარზე შემდეგი ნორმების მიხედვით:

	თივის ჩაბარების ნორმები კილოგრამობით ერთ ჰექტარზე		
	ნახნავი	ურწყავი მდელოები	სარწყავი მდელოები
ორიოლის ოლქი	1	9	20
სმოლენსკის ოლქი	3	18	29
კურსკის ოლქი	1	10	20
კალინინის ოლქი	4	16	29
უკრაინის სსრ ოლქები	4	18	35

კოლმეურნეობები ყველა დანარჩენი რაიონებისა, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან 1942-43 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, სახელმწიფოს თივას აბარებენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 27 ივლისის № 3823-ს დადგენილების შესაბამისად.

12. მიეცეთ უფლება საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს, სახკომსაბჭოებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და სამხარეო კომიტეტებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, მზესუმზირას, კარტოფილის, ბოსტნეულისა და თივის ჩაბარების იმ ნორმების საფუძველზე, რაც დაწესებულია ამ დადგენილების მე-9, მე-10 და მე-11 პარაგრაფებით, დამზადებათა სახალხო კომისარიატის დამტკიცებით მოახდინონ ამ ნორმების დიფერენციაცია რაიონების ზიარეფთ შემცირებისა თუ მომატების მხრივ. მაგრამ ისე, რომ საშუალოდ დაცულ იქნან ზემოაღნიშნული ნორმები.

ნება დაერთოთ რაიაღმასკომებსა და საკ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, ოლქში (მხარეში, რესპუბლიკაში) დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის დამტკიცებით, დაუშვან ცალკეული კოლმეურნეობებისათვის გადახრანი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, მზესუმზირის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და თივის ჩაბარების რაიონობრივი ნორმების შემცირებისა ან მომატების მხრივ 30 პროცენტის ფარგლებში, მაგრამ ისე, რომ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, მზესუმზირის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და თივის ჩაბარება მთლიანად რაიონში ზუსტად შეესაბამებოდეს მოცემული რაიონისათვის დამტკიცებულ ნორმებს.

13. იმ რაიონების კოლმეურნეობები, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან 1942-43 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, აგრეთვე იმ რაიონებისა, რომლებიდანაც თავის დროზე პირუტყვი ევაკუირებული იყო, ხორცის, რძისა და მატყლის საგალდებულო ჩაბარებას ასრულებენ კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის ფაქტიური არსებობის მიხედვით სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 20 დეკემბრის № 1989 დადგენილების შესაბამისად.

14. დაწესდეს, რომ საკოლმეურნეო კომლები, ერთპიროვნული მეურნეობანი, მუშათა, მოსამსახურეთა და შინამრეწველთა მეურნეობანი რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წლის 1 ივლისს შემდეგ, წითელი არმიის ფონდში 1943 წლის მოსავლის მარცვლეულისა და კარტოფილის ჩაბარებას აწარმოებენ ასაღები ფართობის ჰექტარზე: საკოლმეურნეო კომლები, მუშების, მოსამსახურეებისა და კოოპერირებული შინამრეწველების მეურნეობანი 10 პროცენტის გადამეტებით იმ ნორმებთან შედარებით, რაც დაწესებულია კოლმეურნეობებისათვის, ხოლო ერთპიროვნული მეურნეობანი და არაკოოპერირებული შინამრეწველების მეურნეობანი—30 პროცენტის გადამეტებით.

15. დაწესდეს, რომ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წლის 1 ივლისის შემდეგ, საკოლმეურნეო კომლები, ერთპიროვნული მეურნეობანი და სოფელ ადგილებში არსებული მუშათა, მოსამსახურეთა და შინამრეწველთა მეურნეობანი, რომელთაც პირად სარგებლობაში ჰყავთ პირუტყვი, წითელი არმიის ფონდში ხორცისა და რძის ჩაბარებას 1943 წლის მეორე ნახევარში აწარმოებენ შემდეგი ნორმებით:

საკოლმეურნეო კომლებისათვის, მუშათა, მოსამსახურეთა და კოოპერირებულ შინამრეწველთა მეურნეობისათვის

	ხორცი 1 მეურნეობიდან (ცოცხალი წონა კილოგრამობით)	რძე 1 ძროხისაგან (ლიტრობით)
ორიოლის ოლქი	15	60
სმოლენსკის ოლქი	15	60
კურსკის ოლქი	15	50
კალინინის ოლქი	15	60
უკრაინის სსრ ოლქები	15	50

ერთპიროვნული მეურნეობებისა და არაკოოპერირებულ შინამრეწველთა მეურნეობების მიერ ხორცისა და რძის ჩაბარების ნორმები წესდება იმ ნორმების 30 პროცენტით მეტი, რაც დათვალისწინებულია საკოლმეურნეო კომლებისათვის.

16. დაევალოს საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს, სახკომსაბჭოებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებს, დამზადებათა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დააწესონ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ვადები ამ დადგენილების შესაბამისად.

17. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოახდინონ გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათა ამ ევაკუირებული პირუტყვის აღრიცხვა, რომელიც მათ სახელმწიფოს ჩაბარეს მათთვის დაწესებული ვალდებულებების გადამეტებით და იმ ოლქების ჩაბარების გეგმების გადამეტებით, რომლებშიც პირუტყვი ევაკუაციამდე იმყოფებოდა, და წარმოუდგინონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს წინადადება ამ მეურნეობების მიერ შემდგომ წლებში სახელმწიფოსათვის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებაში მისი ჩათვლის წესის შესახებ.

18. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 10 ივლისის № 743 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად დამტკიცდეს 1943 წლის მოსავლიდან წითელი არმიის პურის ფონდში კურსკის ოლქის რაიონების კოლმეურნეობათა მიერ მარცვლის ჩაბარების გეგმა 4.000 ათასი ფუთის რაოდენობით, ნაცვლად 9.000 ათასი ფუთისა, რაც გათვალისწინებული იყო წინათ დამტკიცებული გეგმით.

დაევალოს კურსკის საოლქო აღმასკომსა და საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს დეკადის ვადაში შესაბამისად შეამციონონ კოლმეურნეობა რაიონობრივი ნორმები და ვალდებულებანი წითელი არმიის პურის ფონდში 1943 წლის მოსავლიდან მარცვლის ჩაბარებისა.

19. შემცირდეს 1944 წლის მოსავლამდე ვადის გადადების გზით 1943 წლის მოსავლიდან პურის დამზადებათა გეგმა სტალინგრადის ოლქში მთლიანად 9.000 ათასი ფუთით, რაც კოლმეურნეობებს უნდა დაეფარათ 1943 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების დარგში გასული წლების დავალიანების მიხედვით 1.024 ათასი ფუთის რაოდენობით, და რაც კოლმეურნეობებს უნდა ჩაებარებინათ 1943 წლის მოსავლიდან სავალდებულო მიწოდებათა მიხედვით 4.676 ათასი ფუთის რაოდენობით და წითელი არმიის პურის ფონდში — 3.300 ათასი ფუთის რაოდენობით.

განთავისუფლებულ იქნან სტალინგრადის ოლქის კოლმეურნეობანი სელისა და ბამბასალათინის სავალდებულო ჩაბარებათაგან 1943 წელს და ჩამოწეროს კოლმეურნეობებს წარსული წლების ნარჩენები: სელის დარგში 6.385 ტონა და ბამბასალათინის დარგში—1.633 ტონა.

ჩამოეწეროს სტალინგრადის ოლქის კოლმეურნეობებს ნარჩენები მდოგვის დარგში 13.920 ტონის რაოდენობით და განთავისუფლებულ იქნან სტალინგრადის ოლქის კოლმეურნეობანი 1943 წელს მდოგვის სავალდებულო ჩაბარებათაგან.

V.

1943 წლის საშემოდგომო თესვისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი თესლით დახმარების შესახებ

1. 1944 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო კულტურების დათესვის გეგმის უზრუნველსაყოფად სესხის სახით მიეცეთ კოლმეურნეობებს სახელმწიფო რესურსებიდან საშემოდგომო კულტურების 55.000 ტონა მარცვლეული, მათს რიცხვში:

(ტონობით)

ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეობებს	4.000
როსტოვის ოლქის „	16.000
კურსკის ოლქის „	5.000
უკრაინის სსრ „	12.000
სტალინგრადის ოლქის „	10.000
სმოლენსკის ოლქის „	3.000
სტავროპოლის მხარის „	5.000

2. საშემოდგომო კულტურების მარცვლეულის გაცემა სწარმოებდეს როსტოვის ოლქში, უკრაინის სს რესპუბლიკაში იმ პირობით, რომ კოლმეურნეობებმა იგი დაბრუნონ არა უგვიანეს 1943 წლის 15 ოქტომბრისა სხვადასხვა სახელწოდების საგაზაფხულო სასურსათო კულტურების მარცვლეულით შეცვლის არსებული ეკვივალენტების მიხედვით და ყოველ 100 ცენტნერ გაცემულ მარცვლს დაერიცხოს 2 ცენტნერი, ხოლო ჯიშიანი მარცვლის გაცემისას დაერიცხოს აგრეთვე დანამატი ჯიშიანობისათვის.

გამონაკლისის წესით, მიეცეთ სესხი საშემოდგომო კულტურების მარცვლები ვორონეჟის, კურსკის, სტალინგრადის, სმოლენსკის ოლქებისა და სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებს იმ პირობით, რომ დაბრუნონ იგი 1944 წლის მოსავლიდან ყოველ 100 ცენტნერ გაცემულ სესხზე 10 ცენტნერის დარიცხვით.

3. დაევალოს 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი ოლქების აღმასკომებისა და რესპუბლიკების სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ კოლმეურნეობების მიერ სესხად მიღებული მარცვლეულის დაბრუნება ამ დადგენილებით დაწესებულ ვადებში.

4. გარდა ამისა, დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მისცენ კოლმეურნეობებს „გოსსორტფონდის“, „გოსსტრახფონდის“ და „ზაგოტზერნოს“ რესურსებიდან 40.000 ტონა საშემოდგომო კულტურების მარცვლეული საშემოდგომო კულტურებზე, საგაზაფხულო ხორბალზე, ფეტვზე, უგრეხელსა და მარცვლეულ-პაკოსან კულტურებზე გადაცვლის გზით, მათს რიცხვში: სტალინგრადის ოლქში 5.000 ტონა, ვორონეჟის ოლქში 20.000 ტონა, სტავროპოლის მხარეში 15.000 ტონა. მარცვლეულის გაცემა სწარმოებდეს გადაცვლის მოქმედი პირობებით, მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობები გადასაცვლელ მარცვლეულს ჩაბარებენ „ზაგოტზერნოს“ სასადგურო და ანაგასადგურო პუნქტებში.

5. ნება დაერთოს კოლმეურნეობებს სათესლე ნაკეთების მარცვლეულის გარდა სათესად გამოიყენონ 55.000 ტონა საშემოდგომო კულტურების მარცვლეული საერთო საწარმოო ნათესებიდან, მათს რიცხვში: სტალინგრადის ოლქში—10.000 ტონა, სტავროპოლის მხარეში—20.000 ტონა და კრასნოდარის მხარეში—25.000 ტონა.

6. დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს რა უგვიანეს 1943 წლის 1 სექტემბრისა უკრაინის სსრ ვინოშილოვგრადისა და ხარკოვის ოლქებში გადაიტანოს 12.000 ტონა სათესლე მარცვლეული „ზაგოტზერნოს“ პუნქტების მოთხოვნით.

7. მიეცეს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებს 16.870 ტონა საშემოდგომო კულტურების მარცვლეული სხვადასხვა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

(გაგრძელება)

როსტოვის ოლქში

33. დაევალოს როსტოვის სოლქო აღმასკომსა და საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს აღდგინონ 1943 წელს მორიოზოვისა და როსტოვის სარემონტო ქარხნები, მიმდინარე რემონტის 30 სახელოსნო და მანქანა-ტრაქტორთა კაპიტალური რემონტის 10 სახელოსნო.

დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს გაიღოს საერთო ხარჯთაღრიცხვის ანგარიშზე მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნების აღსადგენად 3,5 მილიონი მანეთი.

34. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მიწსახკომს დაამტკიცოს აზერბაიჯანის სსრ კირვაბადის სარემონტო ქარხნიდან როსტოვის ელექტრო სარემონტო ქარხანაში 5 ლითონსაჭრელი დაზგა და წნეხის სარემონტო მოწყობილობა.

35. დაევალოს სანაღმტყორცნო შეიარაღების სახალხო კომისარიატს ა. წ. III კვარტალში გაუგზავნოს როსტოვის ოლქს სსრ კავშირის მიწსახკომის ფონდების ხარჯზე 200 ცხენის გუთანი, 50 სატრაქტორო გუთანი, 80 თივის სათიბი მანქანა, 48 დამზარისებელი მანქანა, 60 სამკალი მანქანა.

36. დაევალოს რსფსრ აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაადიდოს როსტოვის სალურსმნე ქარხანაში ლურსმნის გამოშვება ოლქის სოფლის მეურნეობის აღდგენის საჭიროებისათვის.

უკრაინის სს რესპუბლიკაში

37. დაევალოს უკრაინის სსრ სახკომსაბჭოს და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტს აღადგინონ 1943 წელს 18 მტლ-ი ხარკოვისა და სუმის ოლქების იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან.

38. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომსა და გზათა სახალხო კომისარიატს ა. წ. 15 ოქტომბრამდე შეიტანონ უკრაინის სსრ რაიონებში 400 ტრაქტორი და 200 სატრაქტორო გუთანი ვარგის მდგომარეობაში, მათს რიცხვში კუიბიშევის ოლქიდან 100 ტრაქტორი და 48 სატრაქტორო გუთანი, მორდეეთის ასს რესპუბლიკიდან 50 ტრაქტორი, პენზის ოლქიდან 50 ტრაქტორი და 24 სატრაქტორო გუთანი, რიაზანის ოლქიდან 50 ტრაქტორი და 24 სატრაქტორო გუთანი, სარატოვის ოლქიდან 150 ტრაქტორი და 104 სატრაქტორო გუთანი.

ტრაქტორები და გუთნები გაგზავნონ იმ წესით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 23 იანვრის № 89 დადგენილებით.

